საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of Chief Prosecutor of Georgia

KA011308456854115

№ 13/13489 **06 / მარტი / 2015 წ.** ქ.თბილისი

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი"-ს დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ქ. თბილისი ალ. გრიბოედოვის ქ. №3

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს დირექტორის გიორგი კლდიაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს გამგეობის თავმჯდომარემ ლევან ავალიშვილმა 2014 წლის 22 დეკემბერის NOPD12/14-003 განცხადებით მომართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

1. 2007-2014 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) შემოსული მოქალაქეთა განცხადების/საჩივრის რაოდენობა (2012 წლის შესახებ ინფორმაცია 1 ოქტომბრამდე და 1 ოქტომბრის შემდეგ ცალ-ცალკე);

2. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოსული იმ განცხადებების რაოდენობა, რომელიც უკავშირდება წარსულში სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას;

3. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოსული იმ განცხადებების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები ითხოვენ ქონების დაბრუნებას ან ზარალის კომპენსაციას (ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიეთითოს აგრეთვე მოთხოვნილი ქონების და კომპენსაციის საერთო ღირებულება);

4. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოსულ რამდენ განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები ითხოვენ ქონების დაბრუნებას ან ზარალის კომპენსაციას დაიწყო გამოძიება, რამდენ მათგანზე დადგა განაჩენი და მათ შორის რამდენს დაუკმაყოფილდა ქონების დაბრუნების/კომპენსაციის მოთხოვნა;

5. იმ თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე დასაქმებული იყვნენ საქართველოს პროკურატურაში და დღესაც აგრძელებენ აღნიშნულ უწყებაში მუშაობას;

6. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ საქართველოს პროკურატურაში დასაქმებული იმ თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც დღესაც აგრძელებენ აღნიშნულ უწყებაში მუშაობას, მათ შორის რამდენია პროკურორი;

7. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა, როდესაც განცხადების

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-ს დირექტორის გიორგი კლდიაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც საჩივრის ავტორი ითხოვს საქართველოს მთავარი პროკურატურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს მიაწოდოს 2014 წლის 22 დეკემბრის NOPD12/14-003 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განვიხილე რა, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი მიმაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საჩივრის ავტორს მიეწოდოს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, კერძოდ:

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში შემოვიდა 52 530 საჩივარ-განცხადება, რომლებშიც მოქალაქეები საჯარო მოხელეთა მხრიდან მათი ან მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მიუთითებდნენ, მათ შორის 10 379 განცხადება გამოძიების დაწყების მოთხოვნით, მითითებული განცხადებებიდან 3495 შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, 697 ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს, ხოლო 6187 სხვა კატეგორიას.

2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 367 საჯარო მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის მიმართ. ამათგან დღეის მდგომარეობით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 147 პირის მიმართ, გამამართლებელი 29 პირის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განერიდა 13 პირი, ხოლო დანარჩენ პირთა მიმართ გრძელდება სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

დღეის მდგომარეობით პროკურატურის ორგანოებში დასაქმებულია 814 მუშაკი, მათ შორის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე დანიშნულია 558, აქედან 319 პროკურორი, რომლებიც შრომით საქმიანობას დღემდე აგრძელებენ. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ დასაქმებულთა და დღეს მომუშავეთა ოდენობაა - 256, აქედან პროკურორია 127.

რაც შეეხება, განცხადებით მოთხოვნილი სხვა ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულის აღრიცხვას არ ვაწარმოებთ, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ამ ნაწილში დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

ეს აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6), ადმინისტრაციული საჩივრის ავტორისათვის მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე

გიორგი გოგაძე